



საქართველო 68-ე ადგილს იკავებს 2010 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსში“ (CPI)

დაუყოვნებელი გამოქვეყნებისათვის

თბილისი/ბერლინი – 2010 წლის 26 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) მიხედვით საქართველომ 178 ქვეყანას შორის 68-ე ადგილი დაიკავა. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ შიდა პოლიტიკურ და საჯარო სექტორში არსებული კორუფციის საზომია. საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.8 ქულა მიიღო. გასულ წელს, საქართველომ 4.1 ქულით 66-ე ადგილი დაიკავა. თუმცა, 2009 წელთან შედარებით საქართველოს ქულა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

„საქართველოს ინდექსი ცხადყოფს, რომ კორუფცია ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და კვლავ რჩება პრობლემად, რომელიც მოგვარებას საჭიროებს,“ აღნიშნავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მატეას ჰუტერი.

სასამართლო სისტემაში რეფორმის გადაუდებელი აუცილებლობა, კერძო საკუთრების უფლების დაცვა, სახელმწიფო ხარჯების (პრეზიდენტის, თბილისის მერისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების) გაჭვირვალობის ნაკლებობა, ელიტური კორუფცია მაღალ ეშელონებში, გაურკვევლობა მედიის მფლობელობისა და დაფინანსების საკითხებში, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების საჯარო პოლიტიკის წარმოებაში ჩართულობის დაბალი დონე – ეს იმ საკითხების ნუსხაა, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ პრობლემურად რჩება.

„მეორე მხრივ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ იმედს ამყარებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემა, რომელიც დეკემბერში ამოქმედდება, მრავალ პრობლემას გადაჭრის ამ სფეროში და სახელმწიფო კონტრაქტებს უფრო გამჭვირვალეს გახდის,–აცხადებს მატეას ჰუტერი, – ჩვენ ასევე მივესალმებით იმას, რომ რამდენიმე შემთხვევაში, კორუფციასთან დაკავშირებულ გამოძიება მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მიმართ განხორციელდა.“

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ აჩვენებს, რომ საქართველოს კორუფციის აღქმის უფრო დაბალი დონე აქვს, ვიდრე მის მეზობელ სახელმწიფოებს, თურქეთის



გამოკლებით, რომელიც 4,4 ქულით 56-ე ადგილზეა. სომხეთის ინდექსი 2,6 ქულას შეადგენს და ეს ქვეყანა 123-ე ადგილზეა; აზერბაიჯანი 134-ე ადგილზეა 2,4 ქულით, ხოლო რუსეთი 2,1 ქულით 154-ე ადგილზეა.

წლებანდელ რანგირებაში უმაღლესი ქულები მიიღეს დანია, ახალმა ზელანდიამ და სინგაპურმა (9,3 ქულა), ფინეთმა და შვედეთმა (9,2 ქულა). მათ მოჰყვება კანადა (8,9 ქულა), ნიდერლანდები (8,8 ქულა), ავსტრალია და შვეიცარია (8,7 ქულა) და ნორვეგია (8,6 ქულა). ბოლო ადგილი სომალიმ (1,1 ქულა) დაიკავა, რომელიც ოდნავ ჩამორჩება მიანმარსა და ავღანეთს (1,4 ქულა) და ერაყს (1,5 ქულა).

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI) ყოველწლიურად შეიმუშავებს და აქვეყნებს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სათავე ოფისი ბერლინში. ინდექსი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და საკონსულტაციო ჯგუფის კვლევებს. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ არ არის სათანადო საშუალება ამა თუ იმ ქვეყნის კორუფციის დონის შესადარებლად სხვადასხვა წლებში, რადგანაც წლების განმავლობაში „კორუფციის აღქმის ინდექსი“ მეთოდოლოგია იცვლება, ისევე როგორც იცვლება ის კვლევები, რომლებიც ინდექსის დასადგენად გამოიყენება. თუმცა, ინდექსი მოცემულ წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით კორუფციის აღქმის კარგ სურათს აჩვენებს.

წელს საქართველოს ქულის გამოსათვლელად შვიდი კვლევის შედეგები შეჯამდა:

- აზიის განვითარების ბანკის "ქვეყნების ეფექტიანი მოქმედების შეფასების რეიტინგი" (*Asian Development Bank*) (2010), რომელიც აფასებს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და კორუფციას საჯარო სექტორში.
- ბერტელსმანის ფონდის "ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი" (*Bertelsmann Transformation Index*) (2009) რომელიც აფასებს ხელისუფლების უნარს გამოავლინოს და შეზღუდოს კორუფციული ფაქტები;
- მსოფლიო ბანკის "ქვეყნების პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასება" (*Country Policy and Institutional Assessment*) (2010), რომელიც აფასებს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და კორუფციას საჯარო სექტორში.
- თავისუფლების სახლის (*Freedom House*) ანგარიში "ტრანზიციული ქვეყნები" (*Nations in Transit*) (2010), რომელიც მთავრობაში კორუფციის გავრცელების დონეს ანტიკორუფციული ინიციატივების გავრცელებასთან ერთად, ხალხის აღქმისა და მედიის მიერ ასეთი ფაქტების გაშუქების მიხედვით ზომავს.



- ორგანიზაციის *Global Insight* “ქვეყნების რისკიანობის რეიტინგი” (*Country Risk Ratings*) (2010), რომელიც აფასებს საჯარო მოხელეების კორუმპირებულობის სიხშირეს, როგორც მცირე ბიუროკრატიული, ასევე მასშტაბური პოლიტიკური გარიგებების კუთხით.
- მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის “გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევა” (*Global Competitiveness Report*) (2009), რომელიც ყურადღებას ამახვილებს უკანონო გადასახადებზე და ქრთამებზე დაკავშირებულს: 1) ექსპორტსა და იმპორტთან 2) საზოგადოებრივი საგრებლობის დაწესებულებებთან 3) გადასახადების აკრეფასთან 4) საჯარო კონტრაქტებთან 5) სასამართლო გადაწყვეტილებებთან.
- მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის “გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევა” (*Global Competitiveness Report*) (2010), რომელიც ყურადღებას ამახვილებს უკანონო გადასახადებზე და ქრთამებზე დაკავშირებულს: 1) ექსპორტსა და იმპორტთან 2) საზოგადოებრივი საგრებლობის დაწესებულებებთან 3) გადასახადების აკრეფასთან 4) საჯარო კონტრაქტებთან 5) სასამართლო გადაწყვეტილებებთან.

„კორუფციის აღქმის ინდექსის“ ან მისი მეთოდოლოგიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს:

<http://www.transparency.ge/CPI2010>.

კორუფციის ინდექსის შესახებ სიღრმისეული ანალიზისათვის ინგლისურ და სხვა ენებზე ეწვიეთ ვებ-გვერდს:

http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi.

საქართველოში კორუფციასა და სამართლიან მმართველობასთან დაკავშირებული რეგულარული სტატიების ნახვა შესაძლებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ახალ ბლოგზე: <http://transparency.ge/blog>

შეგიძლიათ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები:

 <http://twitter.com/TIGeorgiaGeo>

 <http://www.facebook.com/TIGeorgia>

პრესასთან საკონტაქტო პირი:

ნანა ლობჯანიძე, კომუნიკაციების ოფიცერი

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

nana@transparency.ge

+995 (8)99 21 03 09